
გამწვანების პროექტი



საკადასტრო კოდი: ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. N2
ს.კ: 01.12.12.001.154
კ-3 = 3000 კვ.მ



მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა

მისამართი:	ქ. თბილისი, ქუჩა თ.ერისთავი, №2
ფართობი:	25208.00 კვ.მ
დანიშნულება:	არასასოფლო - სამეურნეო
საკადასტრო კოდი:	01.12.12.001.154

შენიშვნა: მიწისქვეშა კომუნიკაცია დატანილია დამკვეთის მითითებით

პირობითი აღნიშვნები

საცხ. შენობა	ბორდიული	წ	წყალგაყვანილობა
არასაცხ. შენობა	ხის ღობე	გ	გაზი
ფარდული	ღობე	კ	კანალიზაცია
მშენებარე შენობა	ქვის კედელი	სან	სანიაღვრე
სატრანსფორ. ჯიხური	საყრდენი კედელი	კბ	კაბშირგაბმულობა
ხეები, ბუჩქი	ფლატე	ელ. ქსელები	
გარე განათება	რკინიგზა	გათბობა	
	სამეთვალყურეო ჭები	მქ კომუნიკაცია დატანილია	
	მეტ., ბეტ., ხის ბოძები	არქივის მასალების მიხედვით	
	ელ. გადამცემი ხაზი		

შენიშვნა: რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
მომავლისათვის რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

WGS84-UTM-38N

შპს „გეოპოლიგონი“
ქ. თბილისი, აღმაშენებლის დასახლება, მე-11 ქ. №3, ბ.20
ს/კ: 405174444504

LTD "GEOPOLYGON"
Email: geopoligoni@gmail.com

დირექტორი:		ბ. სამხარაძე
შეასრულა:		ბ. სამხარაძე
დაამუშავა:		ბ. სამხარაძე
მაშტაბი: 1:750		27.12.2021 წ.

წერილის ნომერი: **18-01220561270**
თარიღი: **25/02/2022**
პინი: **3817**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-012204788
წერილის თარიღი:	16 თებერვალი, 2022
განმცხადებელი:	კონსტანტინე დგებუაძე
განაცხადის N	AR1858841
მისამართი	ქ. თბილისი, ქუჩა თ. ერისთავი, N 2
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.12.12.001.154
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	საწყობი; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	სააქციო საზოგადოება "უნივერსალი"
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სამრეწველო ზონა 1 (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) გამწვანებული ტერიტორიები
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	ტოპო გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ფოტოსურათები მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები; ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) პირველი მუხლის „ა. თ“, ,,ბ“ ქვეპუნქტები; დადგენილების 68-ე მუხლი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ და ,,ი“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით N17-55 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი, 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 26^1-ე მუხლი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია

მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებულ, ზეხმელ, ხმობად, დაავადებულ, ფაუტ, გადაბერებულ, ავარიულ მწვანე ნარგავებზე. ვინაიდან სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული **3 ძირი** მწვანე ნარგავი ხმობადია, მათი მოჭრით არ დაირღვევა მიმდებარედ არსებული ტერიტორიის ეკოლოგიური წონასწორობა, სამსახური გასცემს მწვანე ნარგავების (თუთის - N1(D=41.5 სმ); კანადური ვერხვის - N2(D=105 სმ), N3(D=90 სმ)) ***მოჭრის ნებართვას, მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ, როდესაც განმცხადებელი წარმოადგენს საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.***

ნებართვის მიღების შემდგომ განმცხადებელს ევალება საკომპენსაციო რგვის ფარგლებში **3 ძირი**, არანაკლებ 3,5 მ სიმაღლის ფოთლოვანი ან არანაკლებ 3.0 მ სიმაღლის წიწვოვანი ნერგის დარგვა (ნერგის გარეშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი). საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგის დარგვას, ასევე მის შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს იმავე საკადასტრო მიწაზე ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

დასარგავი მცენარის სახეობა (კვიპაროსის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი სახეობის ხეების გარდა) უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 ერთეულზე ნაკლები და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ***ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე მოსაჭრელი/გადასარგავი ხილკენკროვანი მწვანე ნარგავების რაოდენობა არ აღემატება 7-ს; მათი (ბლის - N8(D=48 სმ); ქლიავის - N9(D=35.5 სმ), N10(D=19.3 სმ); ვაშის - N11(D=11 სმ); ალუბლის - N12(D=12 სმ); ტყემლის - N13(D=14 სმ); ვაშლის - N14(D=6.6 სმ)) მოჭრა/ გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.***

ამასთანავე გაცნობებთ, რომ სამსახურს იმ საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება, რომელზეც ვრცელდება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების არეალი, ასევე, მწვანე ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა, მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა შენობა/ნაგებობების რეკონსტრუქციის, II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა. ასევე, სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, კვიპაროსის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

ასევე, ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, **შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები, ასევე, გასაშენებელი (დასარგავი) დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)).

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

გასათვალისწინებელი წინაპირობა

წინამდებარე დოკუმენტი ადმინისტრაციული დაპირებაა. მწვანე ნარგავების მოჭრის ანდა გადარგვის ნებართვის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

№ 150 11 ნოემბერი 2021 წ.

დ ა ს კ ვ ნ ა

მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) სახეობრივი მდგომარეობის და ხარისხობრივი შეფასების შესახებ

2021 წლის 11 ნოემბერს მისამართზე: ქალაქი თბილისი, თ. ერისთავის ქუჩა N2-ის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.12.12.001.154), რომლის ფართობია 25 208.00 მ^2, ხოლო მესაკუთრე სააქციო საზოგადობა უნივერსალი (საიდენთიფიკაციო ნომერი 200004921), მეტყევე-სპეციალისტის გიორგი კაპანაძის მიერ (მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების დასკვნის გამცემი უფლებამოსული პირი, ექსპერტი) შემოწმდა მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობა და გაკეთდა მათი ხარისხობრივი შეფასება.

სულ ტერიტორიაზე განლაგებულია 134 ძირი ფოთლოვანი და წიწვოვანი მწვანე ნარგავი.

კორექტირებული გენგეგმის მიხედვით საპროექტო არეალში ფიქსირდება და დამკვეთს სურვილოი აქვს მოჭრას 17 ძირი მწვანე ნარგავი: N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11, N12, N13, N14, N21, N107 და N108, მათ შოროს 3 ძირი ხმობადია (N1, N2, N3), 1 ძირი ზეხმელია (N21), 7 ძირი ხილ-კენკროვანია (N8, N9, N10, N11, N12, N13, N14) და 6 ძირი ჯანსაღი ფოთლოვანი ნარგავია (N4, N5, N6, N7, N14 , N107 და N108).

ცხრილში მოცემულია ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა N2-ის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.12.12.001.154), მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) სახეობები, ფიზიკური მდგომარეობა და დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე:

ცხრილი N 1

ხის №	მერქნიანი სახეობა	დიამეტრი მიწის პირიდან 10 სმ-ზე	ხის მდგომარეობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	თუთა - Morus alba	41.5	ხმობადი	
2	კანადური ვერხვი - Populus deltoides	105	ხმობადი	
3	კანადური ვერხვი - Populus deltoides	90	ხმობადი	

4	შავი ვერხვი - Populus nigra	34.5	ჯანსაღი	ტანბრეცილი, ფიქსირდება ტროტუარზე
5	შავი ვერხვი - Populus nigra	38.6	ჯანსაღი	ფიქსირდება ტროტუარზე
6	შავი ვერხვი -Populus nigra	38	ჯაბსაღი	ფიქსირდება ტროტუარზე
7	თუთა - Morus alba	8,1-24	ჯანსაღი	ფიქსირდება ტროტუარზე
8	ბალი - Prunus cerasus	48	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
9	ქლიავი -Prunus ssp	35.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
10	ქლიავი -Prunus ssp	19.3	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
11	ვაზი -Vitis spp	11	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
12	ალუბალი- Prunus cerasus	12	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
13	ტყემალი - Prunus ssp	14	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
14	ვაშლი -Malus spp	6.6	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
15	კვიდო მარადმწვანე - Ligustrum Japonicum	16.8	ჯანსაღი	
16	თუთა - Morus alba	46.8	ჯანსაღი	საფრთხეს უქმნის შენობას
17	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	44	ზეხმელი	
18	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	41.3	ზეხმელი	
19	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	44.8	ზეხმელი	
20	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	49.3	ზეხმელი	
21	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	56	ზეხმელი	

22	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	65.5	ზეხმელი	
23	ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara	74.5	ჯანსაღი	
24	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	70	ზეხმელი	
25	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	44.5	ჯანსაღი	
26	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	21.5	ჯანსაღი	
27	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	18	ჯანსაღი	
28	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	10.5	ჯანსაღი	
29	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	17	ჯანსაღი	
30	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	19	ჯანსაღი	
31	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	28.5	ჯანსაღი	
32	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	24.5	ჯანსაღი	
33	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	14	ჯანსაღი	
34	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	28.3	ჯანსაღი	
35	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	36.4	ჯანსაღი	
36	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	32.3	ჯანსაღი	
37	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	24	ჯანსაღი	
38	იაპონური სოფორა - Sophora Japonica	37.5	ჯანსაღი	

39	ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara	65.2	ჯანსაღი	
40	თუთა - Morus alba	72	ჯანსაღი	
41	ჭადარი აღმოსავლეთის - Platanus Orientalis	66	ჯანსაღი	
42	ჭადარი აღმოსავლეთის - Platanus Orientalis	101	ჯანსაღი	
43	თუთა - Morus alba	8.1-12	ჯანსაღი	
44	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	38	ჯანსაღი	
45	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	52	ჯანსაღი	
46	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	53	ჯანსაღი	
47	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	44.2	ჯანსაღი	
48	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	38.6	ჯანსაღი	
49	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	45	ჯანსაღი	
50	ჭადარი აღმოსავლეთის - Platanus Orientalis	35.8	ჯანსაღი	
51	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	29	ჯანსაღი	
52	ჭადარი აღმოსავლეთის - Platanus Orientalis	57.4	ჯანსაღი	
53	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	33.6	ჯანსაღი	
54	ჭადარი აღმოსავლეთის - Platanus Orientalis	66	ხმობადი	
55	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	17.3	ჯანსაღი	

56	ჭადარი აღმოსავლეთის - Platanus Orientalis	61	ჯანსაღი	
57	მაღალი ღვია - Juniperus excelsa	73	ჯანსაღი	
58	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	4.1-8	ჯანსაღი	
59	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	70	ზეხმელი	
60	თუთა - Morus alba	45.6	ჯანსაღი	
61	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	45	ხმობადი	
62	თუთა - Morus alba	12.1-16	ჯანსაღი	
63	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	58.5	ჯანსაღი	
64	მაღალი ღვია - Juniperus excelsa	58	ჯანსაღი	
65	ვაზი -Vitis spp	8.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
66	ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara	75	ჯანსაღი	
67	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	23.4	ჯანსაღი	
68	ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara	61.4	ჯანსაღი	
69	ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara	55.2	ჯანსაღი	
70	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	16.4	ჯანსაღი	
71	ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara	45.3	ჯანსაღი	
72	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	50.5	ზეხმელი	
73	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	25	ჯანსაღი	
74	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	42.6	ზეხმელი	
75	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	56.7	ზეხმელი	
76	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	34	ჯანსაღი	
77	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	54.5	ჯანსაღი	

78	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	30	ჯანსაღი	
79	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	58.4	ჯანსაღი	
80	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	25.3	ჯანსაღი	
81	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	53	ჯანსაღი	
82	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	27.3	ჯანსაღი	
83	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	24	ჯანსაღი	
84	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	49.5	ჯანსაღი	
85	ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara	56	ჯანსაღი	
86	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	42.8	ჯანსაღი	
87	ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara	41.4	ჯანსაღი	
88	ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara	68	ჯანსაღი	
89	ქორაფი - Acer laetum	32.5	ხმობადი	
90	ჭადარი აღმოსავლეთის - Platanus Orientalis	48.5	ჯანსაღი	
91	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	19.5	ჯანსაღი	
92	პალმა მარაოსებრი -Trachicarpus fortunel	18.5	ჯანსაღი	
93	ჭადარი აღმოსავლეთის - Platanus Orientalis	65.5	ჯანსაღი	
94	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	13.2	ჯანსაღი	
95	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	29.3	ჯანსაღი	
96	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	46.5	ჯანსაღი	

97	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	36	ჯანსაღი	
98	ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara	65.2	ჯანსაღი	
99	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	37.8	ჯანსაღი	
100	ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara	22.5	ჯანსაღი	
101	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	19.8	ჯანსაღი	
102	ჭადარი აღმოსავლეთის - Platanus Orientalis	54.7	ჯანსაღი	
103	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	40.2	ჯანსაღი	
104	მარადმწვანე კვიპაროსი - Cupressus sempervirens	27.3	ჯანსაღი	
105	ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara	78	ჯანსაღი	
106	ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara	75	ჯანსაღი	
107	ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara	30.5	ჯანსაღი	
108	ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica	46.4	ჯანსაღი	
109	იფანი ჩვეულებრივი -Fraxinus Exelsior	17.5	ჯანსაღი	
110	იუდას ხე - Cercis siliqnastrum	4.1-8	ჯანსაღი	
111	ვაზი -Vitis spp	8	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
112	ვაზი -Vitis spp	9	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
113	ვაზი -Vitis spp	8.4	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
114	ვაზი -Vitis spp	7.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
115	ვაზი -Vitis spp	9	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
116	ვაზი -Vitis spp	8.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
117	ვაზი -Vitis spp	8.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი

118	ვაზი -Vitis spp	8	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
119	ვაზი -Vitis spp	6.6	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
120	ვაზი -Vitis spp	6.7	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
121	ვაზი -Vitis spp	6.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
122	ვაზი -Vitis spp	8.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
123	ვაზი -Vitis spp	8.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
124	ვაზი -Vitis spp	7.6	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
125	ვაზი -Vitis spp	8	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
126	ვაზი -Vitis spp	7	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
127	ვაზი -Vitis spp	6.8	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
128	ვაზი -Vitis spp	25	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
129	ვაზი -Vitis spp	7.7	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
130	ვაზი -Vitis spp	7	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
131	ვაზი -Vitis spp	8	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
132	ვაზი -Vitis spp	7.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
133	ვაზი -Vitis spp	7	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
134	ვაზი -Vitis spp	8	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი

მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) ვიზუალური დათვალიერება განახორციელა გიორგი კაპანაძემ, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის N 1-369 ბრძანებით დარეგისტრირდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაცემთა ბაზაში მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირად.

დანართი: 36 გვ ;

შემსრულებელი : გიორგი კაპანაძე

მეტყევე-ექსპერტი: Tel: 593 10 28 44

ელ. ფოსტა: Giokapana14@gmail.com 595 00 00 49

01.12.12.001.026

01.12.12.001.124

01.12.12.001.154

01.12.12.001.022

01.12.12.001.062


481750

4622000

Img_40E7F34D 40E7F34D.bmp

მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა

მისამართი:	ქ. თბილისი, ქუჩა თამარაშვილი, №2
ზედაპირი:	2520.00 კვ.მ
დანიშნულება:	არასასოფლო - სამეურნეო
საკადასტრო კოდი:	01.12.12.001.154



პირობითი აღნიშვნები

საკადასტრო საზღვრები			
ნაგებობის საზღვრები			
ტროტუარი			
შენობა-ნაგებობა			
საინჟინრო ქსელები			
ელექტრო ბოძი			
ხე, ბუჩქი			


WGS84-UTM-38N	

img_50438BB2 50438BB2.bmp

შპს „გეოპოლიგონი"
ქ. თბილისი, ალექსიძის ფერდობი, ფარ.11 კ.№1, ტ.ბ.
მობ: +995 574 444 884
LTD "GEOPOLYGON"
Email: geopoligoni@gmail.com

დამკვეთი:		ა. ხაჩაპურიძე
შემსრულებელი:		ა. ხაჩაპურიძე
დამოწმებულია:		ა. ხაჩაპურიძე
მასშტაბი: 1:750		23.10.2021 წ.

გამწვანების პროექტის გენ. გეგმა



ფორმატი	პროექტი #	დამკვეთი #	ფაილის სახელი
A3			

საკადასტრო საზღვარი

70 სმ დისტანცია ნარგავიდან გზამდე

3 მეტრიანი დისტანცია ნარგავიდან შენობამდე

არსებული შესანარჩუნებელი ხეები

გადარგული ბუჩქები

საპროექტო დასარგავი ხეები

1 დასარგავი ხის ნომერი ექსპლიკაციაში

დასარგავი სახეობა:

ჰიმალაის კედარი/Cedrus deodara 18 ძირი

მიდვრის ნეკერჩხალი - Acer campestre 18 ძირი

ტერიტორიაზე არსებული 84 ძირი ნარგავი

შენიშვნები:

1. ნახაზზე ნებისმიერი ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან
2. ნახაზის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვარიანტი

პროექტი: მრავალფუნქციური კომპლექსი IV კლასი

მისამართი:ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. N2

საკადასტრო კოდი: 01.12.12.001.154

ფართობი:	25 208 კვ.მ	კ3=3 000 კვ.მ
მესაკუთრე:	სს "უნივერსალი"	
	ID: 200004921	



მიდვრის ნეკერჩხალი Acer campestre



ჰიმალაის კედარი Cedrus deodara

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: სს "უნივერსალი"


მისამართი:ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. N2
ს.კ: 01.12.12.001.154

ნებართვის გამცემი ორგანო : ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სააქალაქო სამსახური .

კ - 3 = 3000 კვ.მ

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი :

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი : 2024 წელი





დასარგავი მცენარეები

მინდვრის ნეკერჩხალი Acer campestre 18 ძირი
სიმაღლე 3.5 მეტრი. ღეროს გარშემოწერილობა 20 სმ

ჰიმალაის კედარი / Cedrus deodara 18 ძირი,
სიმაღლე 3.5 მეტრი. ღეროს გარშემოწერილობა 20 სმ

ახლადდარგულ ხე მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელი პირი :
სს "უნივერსალი"

ახლადდარგული ხე მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა : 3 წელი

ხელშეკრულება შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი **27 მარტი 2023 წელი**

ერთის მხრივ, სააქციო საზოგადოება „უნივერსალი“ საიდენტიფიკაციო კოდი: 200004921, (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ **შპს „ტასჰაბი“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 406265410) (შემდგომში მიმწყოდებელი“) და მისი დირექტორის სერგო გიორგაიას მიერ, შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **3 (სამი) ძირი მინდვრის ნეკერჩხალის-Acer campestre, სიმაღლე 3.5 მ. გარშემოწერილობა 20 სმ.** შეძენა, რომელთა დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და ჯამური ფასი ასევე მოცემულია დანართ N1-ში, რაც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
2.1.1 გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.
2.1.2. მიმწოდებლის ვალდებულება საქონლის გადაცემაზე ითვლება შესრულებულად შემსყიდველისათვის საქონლის გადაცემის მომენტიდან. საქონლის გადაცემასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენტი.
2.1.3. თუკი ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ საქონელს აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ გონივრულ ვადაში გამოასწოროს ეს ნაკლი ან შეცვალოს საქონელი თავისი ხარჯით.
2.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
2.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.3. შემსყიდველი ვალდებულია:
2.3.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.3.2. უზრუნველყოს შესყიდვის საგნის მიღება.
2.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:
2.4.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საქონლის ერთეულის ღირებულება იხილეთ დანართ №1 _ში
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1 800 (ათას რვაასი) ლარს.
3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს დღგ-ს ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი, გადახდის ფორმა – უნაღდო.
4.3 შემსრულებლის საბანკო ანგარიშის ნომერი: GE06TB7956036080100007.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქორთველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენაბა წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
5.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზრაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
5.4. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლისას შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
5.5. რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ

შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ისოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შეცვლა და შეწყვეტა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისის ხელმოწერის მომენტიდან.

6.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
6.3 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის,ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.
6.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:
ა) ხელშეკრულებით გათვალისიწნებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია საქონლის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;
ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული რომელიმე ვალდებულება;
გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას
დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
6.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა განპირობებული იქნება დაუძლეველი ძალის გარემოებებით;

7.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება კლიმატური, ტექტონიკური, ტექტოგენური კატასტროფები, სოციალური მღელვარება და სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებულები მხარეების ნებაზე და მათი თავიდან აცილება ღემატება მხარეების შესაძლებლობებს;

7.3. მხარე, რომლისთვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო ვალდებულების შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, ვალდებულია გონივრულ ვადაში აცნობოს მეორე მხარეს,

არასაპატიო მიზეზით შეუტყობინებლობასა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორსმაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 15 დღეზე მეტხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისს, დავას განიხილავს სასამართლო.

8. დავათა გადაწყვეტა

8.1. მხარეთა შორის დავის წარმოქმნის შემთხვევაში იგი უნდა გადაწყდეს უშუალოდ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის შემათანხმებელი პროცედურების გზით, შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით;

8.2. თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს;

9. დასკვნითი დებულებანი

9.1. მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები.

9.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით

9.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე და დამატებების ხელმოწერის შემდეგ ისინი ითვლებიან ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

9.4. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ნებისმიერ დროს ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად ცნობა საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო გადაწყვეტილების ამ სხვა გარემოების საფუძველზე არ იქონიებს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისთვის.

N	დასახელება	რაოდენობა	1 ძირის ფასი
1	მინდვრის ნეკერჩხალი	3	600
ჯამი დღგ-ს ჩათვლით		1 800 (ათას რვაასი)	

მხარეთა რეკვიზიტები

“დამკვეთი”	“შემსრულებელი”
სააქციო საზოგადოება „უნივერსალი“	**შპს „ტასჰაბი“**
საიდენტიფიკაციო კოდი: 200004921	საიდენტიფიკაციო კოდი: 406265410
დირექტორი:	დირექტორი: სერგო გიორგაია
ხელმოწერა:_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ ;	ხელმოწერა:_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ ;